

გადაწყვეტილების განმარტება



საქართველოს უზენაესი სასამართლო

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა*
საქართველოს სახელით

№ბს-847-403(კ-კს-05)

19 აპრილი, 2006 წ. ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა
შემადგენლობა:**

კონსტანტინე კუბლაშვილი (თავმჯდომარე),
ნინო ქადაგიძე (მომხსენებელი),
მიხეილ გოგიშვილი,
მაია ვაჩაძე,
ნუგზარ სხირტლაძე,
მაია ოშხარელი,
როზა ნადირიანი,
მაია სულხანიშვილი,
იური ტყეშელაშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილისა და 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის განცხადება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე.

* იხ. წინა გადაწყვეტილება

ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი :

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ბ.-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება შპს „ბ.-სათვის“ საურავების დარიცხვის ნაწილში და ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შპს „ბ.-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა შპს „ბა.-სათვის“ ანგარიშ-ფაქტურებით მიღებული დღგ-ს ჩათვლების გაუქმების შედეგად დარიცხული საურავი, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

2006 წლის 25 იანვარს საქართველოს უზენაეს სასამართლოს განცხადებით მიმართა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტმა და ითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების განმარტება.

განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ 2005 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 91-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად: „დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელია პირი, რომელიც რეგისტრირებულია ან ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ს გადამხდელად“, ხოლო 92-ე მუხლის თანახმად კი პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში ახორციელებს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციებს, რომელთა საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს, ვალდებულია, ამ მომენტის დადგომიდან არა უგვიანეს მეორე დღისა, საგადასახადო ორგანოში წარადგინოს განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის.

განმცხადებელი მიუთითებს, რომ შპს „ბ.-ი“ არის დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული პირი (რეგ. №66310 2004წ. 11 მარტი) და მას 2005 წლის 1 იანვრამდე მოქმედი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 236-ე მუხლის შესაბამისად, საგადასახადო ვალდებულება წარმოემყვება დარიცხვის შესახებ შეტყობინების დღიდან.

ამასთან, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 252-ე მუხლით იმპერატიულადაა დადგენილი, რომ: „თუ გადასახადის თანხა არ არის გადახდილი დადგენილი ვადისათვის, გადასახადის გადამხდელი ვალდებულია, გადაიხადოს გადაუხდელი თანხის 0.15% თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე, გადახდის ვადის დადგენილი თარიღიდან გადასახადის გადახდის თარიღამდე“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი ითხოვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის საფუძველზე განმარტებას იმასთან დაკავშირებით, დროის რა პერიოდიდან (კონკრეტულ თარიღზე მითითებით) უნდა იქნეს გაუქმებული დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირის - შპს „ბ.-ის“ მიერ საქონლის ან მომსახურების შეძენისას განხორციელებული დღგ-ის ჩათვლების გაუქმების შედეგად ძირითად თანხაზე დარიცხული საურავი:

1. საქონლის ან მომსახურების შეძენისას მიმწოდებელზე გადახდილი თანხის მიხედვით წარდგენილი დეკლარაციით საგადასახადო ორგანოსადმი დღგ-ის ჩათვლის მოთხოვნის მომენტიდან;

2. დღგ-ის ჩათვლის გაუქმების შესახებ დარიცხვის თაობაზე შეტყობინებების მიღების მომენტიდან;

3. დღგ-ის ჩათვლის გაუქმების შედეგად დარიცხული ძირითადი თანხის შემდგომში ბიუჯეტში გადახდის დროის მომენტიდან.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა გაეცნო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის შუამდგომლობას საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე და თვლის, რომ არ არსებობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების განმარტების პროცესუალური აუცილებლობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს უფლება აქვს, მხარეთა თხოვნით განმარტოს გადაწყვეტილება მისი შინაარსის შეუცვლელად.

პროცესის ზემოაღნიშნული ნორმა მიზნად ისახავს გადაწყვეტილების განმარტებას იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილება ან მისი ნაწილი არ არის ცალსახად, გარკვევით, ნათლად ჩამოყალიბებული და შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ, ან შეუსაბამო დებულებებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით: 1. შპს „ბ.-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; 2. გაუქმდა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება შპს „ბ.-სათვის“ საურავების დარიცხვის ნაწილში და ამ ნაწილში საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; 3 შპს „ბ.-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა შპს „ბ.-სათვის“

ანგარიშ-ფაქტურებით მიღებული დღგ-ს ჩათვლების გაუქმების შედეგად დარიცხული საურავი; 4. გასაჩივრებული გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელად.

განმცხადებელი – საგადასახადო დეპარტამენტი აპელირებს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის ბოლო აბზაცზე და თვლის, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ გათვალისწინებული არ იქნა ის გარემოება, რომ შპს „ბ.-ი“ საგადასახადო კოდექსის 91-ე და 92-ე მუხლების საფუძველზე რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმცხადებლის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ არც მხარეებს და არც სასამართლოს საქმის განხილვის არც ერთ ეტაპზე სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ შპს „ბ.-ი“ წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ გაუუქმებოდა დღგ-ის ჩათვლა და, შესაბამისად, არც წინამდებარე დავა იქნებოდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებაში საუბარია იმაზე, რომ სადავო ოპერაციებთან მიმართებაში შპს „ბ.-ი“, როგორც მყიდველი, არ ითვლება დღგ-ის გადამხდელად. საგულისხმოა, რომ ანალოგიურ მითითებას აკეთებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო 10.03.05 წლის №2/2/275.296.299 გადაწყვეტილებაში, სადაც აღნიშნავს, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსი დღგ-ის თანხის შეტანის ვალდებულებას ითვალისწინებს მხოლოდ დღგ-ის გადამხდელის, ანუ საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს მიმწოდებლისაგან.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა განმცხადებლის ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ სადავო არ არის ის ფაქტი, რომ დამატებული ღირებულების გადასახადი უნდა გადაიხადოს ყველა იმ პირმა, რომელსაც დაუდგა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება ან რომელიც ასეთად რეგისტრირებულია. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატამ მიიჩნია, რომ შპს „ბ.-ი“ დღგ-ის გადამხდელი არ არის იმ ნაწილში, რა ნაწილშიც მოხდა ჩათვლის გაუქმება. აღნიშნულზე მიუთითებს თუნდაც ის გარემოება, რომ გარკვეული პირობების დადგომის შემთხვევაში (მე-3 პირების მიერ დღგ-ის გადახდის შემთხვევაში) შპს „ბ.-ს“ სახელმწიფოსაგან წარმოემობა თანხის გადახდილად აღიარების უფლება. რაც, თავის მხრივ, იქცა იმის საფუძველად, რომ გაუქმებული ჩათვლის ნაწილში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის მიერ საურავის დარიცხვა, მიჩნეულ იქნა კანონშეუსაბამოდ, რაც ნიშნავს იმას, რომ მეწარმე სუბიექტს უნდა მოეხსნას დარიცხული საურავი მისი დარიცხვის მომენტიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა თვლის, რომ გადაწყვეტილება არ შეიცავს ურთიერთგამომრიცხავ და შეუსაბამო მითითებებს, რის გამოც არ არსებობს განცხადების დაკმაყოფილებისა და გადაწყვეტილების განმარტების პროცესუალური აუცილებლობა.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 262-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტის შუამდგომლობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2005 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების განმარტების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

კონსტანტინე კუბლაშვილი
მიხეილ გოგიშვილი
იური ტყეშელაშვილი
მაია ვაჩაძე
ნინო ქადაგიძე
მაია ოშხარელი
როზა ნადირიანი
ნუგზარ სხირტლაძე
მაია სულხანიშვილი